

# თავისუფალი საქართველო

№ 13

თარიღი  
17 - 23 აპრილი 1996 წ.

1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER

TAVISUPALI SAKARTVELO

(FREE GEORGIA)

ჩვენს მშვენიერ, გატანჯულ, კეთილ სამშობლოს უელოცავთ იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას - მართლმადიდებელთა უმთავრეს დღესასწაულს.  
ვევედროთ უფალს, მოვეცეს ძალა და შემწეობა კეთილად ვემსახუროთ ერს, მამულს, რწმენას; აღგვაკოს სიყვარულით, გაგვაძაგროს, გაგვაძლიეროს, რათა შევძლოთ ჩვენი ქვეყნის წყლულთა დაამება, მოყვასის სიყვარული, ობოლთა მფარველობა, უსახოთა ნუგეშება.

საქართველო  
მარტვილი  
ბიბლიოთეკა

მოდგაწეს, მამულიშვილს, დიდ პოეტს,  
მუხრან მაჭავარიანს  
ვულოცავთ დაბადების დღეს  
ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს თავისუფლებით  
გამთბარ ბედნიერ საქართველოში, რომელზე ოცნებაც  
მისმა ლექსებმა შეგვაყვარა.

**პოლიტიკატიმრები: ნუგზარ მოლოდინაშვილი, ზვიად  
ძიძიგური, ვახტანგ ქობალია, ჯამბულ ბოკუჩავა ხიშონ  
ქლენტი**

**“თავისუფალი საქართველო“ მხურვალედ უერ-  
თდება პოლიტიკატიმართა მილოცვას.  
იღვგრძელებო, ბატონო მუხრან!**

## თქვენ უგვიპოვით ფარღა ახალთ ბორბობას მიმართვა შავოსანი დედებისადმი

ქართველთა ცხედრებზე გაფლეთ  
ხელისუფლებაში მისვლამ სათავე და-  
დო მათამკვეთელ ომს. ომს, რომელსაც  
შეიწირა ათასობით ქართველი  
სიცოცხლე. კანონიერი ხელისუფლების  
დამცველთა თუ მოწინააღმდეგეთა რა-  
გებში, დაღუპულთა სახით, საქართველოს  
გაუნადგურეს გენოციდი. ასიტომაც  
ერთნაირად სტკივა დედასაქართველოს  
დაღუპული შვილები. არც თქვენი და-  
ყოფა შეიძლება მარტობად. თქვენ შე-  
იძვედართ დედები დაგარკვათ არსთა-  
გამრიგებ.

ძნელია, ძალიან ძნელია, მიმართო  
დედას, მაგრამ ჩვენ გვაძულდა ამ გარ-  
ემობამ, რომ ვახტანგ (ლითი) ქობა-  
ლიას, ჯამბულ ბოკუჩავას, ხიშონ  
ქლენტის, ნუგზარ მოლოდინაშვილის, ზვი-  
ად ძიძიგურის სასამართლო  
პროცესში ჩართულია შავოსანი დედების  
გარკვეული ნაწილი. საქმე ისაა, რომ  
ამ პროცესით “ხელისუფლებას” სურს,  
ერისა და ქვეყნის წინაშე ჩადენილი  
დანაშაული გადააბრალოს კანონიერ  
ხელისუფლებას, პრეზიდენტს, ცდილობს,  
დამნაშავედ გამოიყვანოს დასარღვებუ-  
ლი და დასაჯოს იგი.

ძვირფასო დედებო! მიუხედავად იმი-  
სა, თუ რომელ მხარეს იბრძოდნენ თქვე-  
ნი შვილები, მიუხედავად იმისა, თუ ვინ  
გამოჰკრა იარაღს ხელი და რომელმა  
მხარემ მოკლა იგი, თქვენი შვილების  
სიკვდილი დასაშინებელია და სრული პა-  
სუხისმგებლობა ეკისრება ფაქტობრივ  
ხელისუფლებას, რადგან იგია ომის გამ-  
ჩაღებელი. მათ ხომ რუსთაველზე და-  
აყენეს სიხლის ტბა.

მიუხედავად ვარამისა, ძნელი და-  
საჯერებელია, რომ არ გაქვთ ყოველივე  
ეს გაცნობიერებული. მას, რატომ  
აღვხარით მცდარ გზას? რატომ მი-  
დისართ თქვენი შვილების წინააღმდეგ?

ავსა ერებსა უკვე გაწოდეს “დაქირავე-  
ბული ქალები” - სწორედ მცდარი გზის  
გაბო, თორემ სად გაგონიდა შეიძლე-  
ვდარი დედის დაქირავება.

გვერწმუნეთ, უსამართლობის გა-  
მარჯვებამს მონაწილეობით, ცოდვით  
დაამსხმებთ თქვენი შვილების სულებს.  
იცოდეთ, საბოლოოდ შეებას ვერ მოგბე-  
რით უდანაშაულოთა დასჯა. პირიქით  
გი მოხდება - დადგება დრო, როცა  
სინდისი შეგაწუხებთ.

ფაქტობრივი ხელისუფლება, თქვენი  
შეცდომაში შეგვანით, იმსუბუქებს იმ  
ცოდვას, რომელიც მას მხრებზე აწევს.  
რამეთუ, უდანაშაულოთა დასჯა - ცოდ-  
ვაა შორის ყველაზე დიდი ცოდვაა. ამ  
ცოდვის მოხარად სჭირდებით მხოლოდ.  
ამიტომ, სასამართლო პროცესზე დახა-  
რალბულების (ძალიან რბილი სიტყვაა!)  
სახით წარმოდგენილ დედებს გოხოვთ,  
მიიღეთ ჩვენს მიერ შემოთავაზებული  
ინიციატივა - დადგეთ ერთად, რათა  
არავის მისცეთ უფლება, რომ თქვენი  
და თქვენი შვილების სახელით, საქარ-  
თველოში გაიმარჯვოს უსამართლობამ,  
უკანონობამ.

თქვენი სწორი პოზიციით, შეგვიძლი-  
ათ ფარდა ახადოთ ბორბობას და სა-  
ქართველოში ახეთით სიმართლედ.  
შეიძლება, უკანონო ქვეყანაში თქვენი  
ხმა დარჩეს “ხმა მღვდლებლისა უდაბ-  
ნოსა შინა”, მაგრამ თქვენს შვილებს  
მანც ხომ მიუხედავთ პირნათლად.

ნათელი დაადგეს მამულისთვის  
შეწირულ ქართველებს.

**სრულიად საქარ-  
თველოს მოძრაობა  
"ხსოვნა"**

## პოლიტიკური მუშაობა პარტი და წელი რუსეთის ირგვლივ

“მათ, ვინც სსრკ-ს აღდგენა განიზ-  
რახეს, დააგვიანეს” - წერს ცნობილი  
ბელორუსი მწერალი ე. ბიკოვი. ამგვარი  
იმედი მწერალს ბელორუსიაში ამ ბოლო  
დროს ეროვნული ძალების არსახელებს  
გამოეღიებამ გაუფიქრა. - იმედის მომ-  
ცემია ის, რომ პროტესტს ძირითადად  
ახალგაზრდები გამოიქვეყნენ - დასძინეს  
იგი... და მანც, მიუხედავად იმისა, რომ  
მართლაც დიდია წინააღმდეგობა ეროვნე-  
ული სუვერენიტეტის დამცავთა მხრი-  
დან, ბელორუსია შეუერთდა ახალ ინ-  
ტეგრაციად მონათლულ გაერთიანებას,  
და შეუერთდა შესაძლოა, ყველაზე უა-  
რესი ფორსით.

ბელორუსიის მავალითზე ნათლად გა-  
მონდა, რას ნიშნავს, როცა ქვეყანას  
მარიონეტი, კომუნისტური მენტალიტე-  
ტის მქონე ხელისუფლება მართავს.

დღეს ლუკაშენკოს “მონუმენტურ ფი-  
გურას” მისი თაყვანისმცემლები ძეგლად  
ჩამოქნას უპირებენ, რაც მისი ერთ-ერთი  
ნიშნია, რომ ბრუნდება დრო, როცა  
ძეგლებს უფაქედნენ საკუთარი ქვეყნის  
დასაცვევართ. ლუკაშენკო კი მარტო  
არაა - რუსეთის “დემოკრატიულმა” ხე-  
ლისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმი-  
თვის, რომ თითქმის ყველა მოსტსაბოთა  
რესპუბლიკაში ეროვნული ხელისუფლე-  
ბები ლუკაშენკოებით, შეგარდნაკებით,  
ალიეგებით შეეცვალა, რადგანც “შემდეგ  
ნაკლებად საკრბორთო გახდარიყო მის  
მგლის მადის დაქმნულილება და  
გარედან მართლად შეუერთილი საბჭო-  
რი იმპერიის აღდგენა, რომელსაც გული  
გაცივლებით უფრო წითელი აქვს, ვიდრე  
იმ ავადმოსაგონარ სსრკ-ს. ამჯერად სხე-  
ებს ბელორუსიის ხელისუფლებამ და-  
ასწრო და ლანგრით მიართვა საკუთარი  
ქვეყნის სუვერენიტეტი რუსეთს. ვინ იქ-  
ნება შემდეგი? დრო არ ითქმის, რუსე-  
ეთის საპრეზიდენტო არჩევნები კარსა  
მომგზავნი და ელცინის ჯერჯერობით  
არცთუ სახარბილო პოზიციის გამყარ-  
ება მხოლოდ სსრკ-ს სწრაფი და ეუ-  
მტური აღდგენითაა შესაძლებელი. რუ-  
სი ამომრჩეველიც, ჩანს, მხოლოდ მას  
შემდეგ გააკეთებს საბოლოო არჩევანს,  
როცა დაინახავს, რომ მას ძველებურად  
“თავისუფლად” შეუძლია “დიდი სამ-  
შობლოს” ერთი კუთხიდან მეორეში გა-  
დაადგილება, როცა “იგრძნობს”, რომ  
დედაქალაქის ერთ მეექვსედზე იხვე “მისი  
მამულია” გადაჭიმული. სადაც მისთვის  
სახალხო დოვლათს ქმნიან ერომანციის  
მხარდამარ შრომის უერხულში ჩაბჭუ-  
ლი სხვადასხვა ეროვნების ადამიანები,  
როცა მას აღარ გაუჭირდება სუვერე-  
ნული რესპუბლიკების სასწავართა “გა-  
დაღლვა” ახლობლებისა და ნათესავების  
მოსანახულებლად - მნიშვნელობა არა  
აქვს, რა ერქმევა ამ “ახალ სამშობლოს”.  
მთავარია, ნუ იქნება ეს “აუტანელი”  
შიდა სასწერები, საუფლებელი სუვერე-  
ნიტეტები, დამოუკიდებელ სახელმწიფო-  
თა ატრბუტები, ერთმანეთს რომ აშო-  
რებს “მონატრებულ” თანამომცემებს.

ახლა ყველაფერი აგილობრივ ქვეშ-  
ევრომთა მოხერხებაზე ჰკიდია - თავის  
დროზე რუსეთის “დემოკრატიულმა” ხე-  
ლისუფლებამ მათ გზა დაულოცა საკ-  
უთარი ქვეყნების თავისუფლების მოსა-  
პოვებლად. თანასუქთა განაღდების დრო  
დადგა...

მართალია, ყველა რესპუბლიკა ერთ-  
ნაირ ენთუსიაზმს არ იჩენს ამ საქმეში,  
მაგრამ რუსეთის “ულალატო” მარიონე-  
ტებიც ჰყავს. მათ “რუსული დემოკრა-  
ტია” და, აქედან გამომდინარე - კაცო-  
ბრიობა - უნდა “გადაარჩინოს”. საქარ-  
თველოსაც გააჩნია საამის ძალა. ად-  
გილობრივ ხელისუფლებას კომუნისტური  
მწიფეთის აღორძინების წინააღმდეგ ბო-  
ლის გამოცდილბადაც შესხრა ჩვენს დატ-  
რადლებულმა ბოლოდროინდელმა მოვლე-  
ნებმა - საქართველოს ხელისუფლებამ  
დროულად გასცა საკადრისი პასუხი ქარ-  
თელ კომუნისტებს (რომელთა “შიხი-  
ლება” დღესაც გრძელდება). ახლა მისი  
მისანი კაცობრიობის წინააღმდეგ მიმარ-  
თული “გლობალური საფრთხის” გამ-  
თაშქარავება და განვიტრალდება. ეს მხო-  
ლოდ კეთილი ნება კი არა, საქარ-  
თველოს ხელისუფლების მოვალეობაცაა -  
რუსეთის დევანდელი ხელისუფლების  
წინაშე პირნათლი სხვაგვარად ვერ იქ-  
ნება მის მიერ ხელდასმული მარიონეტი.

წინასწარმეტყველებების” ავად ტრი-  
ალბებზე ჩვენს, თავს... ელცინის მრჩევე-  
ლია “ვარაუდით”, ბელორუსიის გზას  
პირველ რიგში სიმხეთი და გასახეთი  
გაგყვება, შემდეგ - უკრაინა, საქარ-  
თველი, ყირგიზეთი და ა.შ. - ინტეგ-  
რაცია 2005 წლამდე უნდა დასრულდეს -  
ასეთია იმერიალისტთა განაჩენი. ბ. ელ-  
ცინი კიდევ უფრო შორს იხედება -  
ბულგარეთი, ბალტიის ქვეყნები ამოტი-  
ვტენდენ დემოკრატიის მამამთავრის ხე-  
დვის არეალში. თუცა, მან ჯერჯე-  
რობით უკრაინაშიც ვერ ჰპოვა და-  
საყრდენი. უკრაინის ხელისუფლება უარ-  
ყოფითად უყურებს ახალ ინტეგრაციას  
და, სხვათა შორის, საქართველოსაც მო-  
უწოდებს, არ მიიღოს მონაწილეობა ახა-  
ლი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს -  
იგივე სსრკ-ს აღდგენაში.

საქართველოს ხელისუფლებამ კი “იც-  
ის” თავისი საქმე, მას, როგორც ჩანს,  
უკვე შემუშავებული აქვს განახლებულ  
იმპერიალისთან “თანამშრომლობის” გეგმა  
და ამგვარი რჩევები ბევრს ვერაფერს  
შეცვლის მის გადაწყვეტილებაში. ჩვენს  
ირგვლივ ახლა უამრავი პრობლემა დაგ-  
როვდა, რომელია გადაჭრა მმართველ  
რეჟიმს მხოლოდ რუსეთთან ურთიერთ-  
ობის გაგრძელების გზით მანჩნა შე-  
საძლებლად. უკვე დაიწყო აფსახეთის  
საკითხით ხელახალი მანიპულირება ...  
პარალელურად, მარიონეტებმა “აღორ-  
ძინეს” მათ მიერვე დასამარებული დამ-  
ოუკიდებლობის იდეალები. ისინი ახალი  
ეროვნული ნიღბებით კეკლუცობენ ქარ-  
თველი ერის წინაშე, მაგრამ ამ ნიღბთა  
უკან ვერ იძალება მათი აჭარხლებული

სახეები.

დრო ცოტა რჩება, რუსეთის პრე-  
ზიდენტს დღეს “თანადგობა” სჭირდება.  
ჩვენ უნდა გადაარჩინოთ ელცინი და  
იგი გადაარჩენს საქართველოს - და-  
ახლოებით ასეთია ქართველ “ნეონაც-  
იონალისტთა” სამოქმედო გეგმა და ლო-  
გიკა. ისინი ჯერჯერობით გადაჭრით  
არაფერს ამბობენ, მაგრამ მათი უტყვი  
კმაყოფილება ინტეგრაციული პროცესე-  
ბით, ელცინისადმი სიმპათიების დაუს-  
რულებელი გამოხატვა, დემოკრატიის “გა-  
დაარჩენისა” და კომუნისტური მწიფეთის  
აღორძინების საშიშროებაზე გაუთავებუ-  
ლი ლაპარაკი, როგორც გამოცდილება  
გვკარნახობს, იმით დასრულდება, რომ  
ერთი მშვენიერ დღეს “ინტეგრაციად”  
წოდებულ სსრკ-ს შემადგენლობაში ამო-  
ცაყოფინებს თავს.

მანამდე კი იქნება ქართველ ხელი-  
სუფალთა მოკრძალებული რევერანსები  
დასავლეთის წინაშე, საუბარი ევროპულ,  
ხან კიდევ - შავი ზღვის ქვეყნებთან ინ-  
ტეგრაციაზე, იქნება ანტირუსული ისტ-  
ერიის დაწერვისა და შემდეგ მის წინა-  
აღმდეგ ბრძოლის ამსახველი შოუ-სა-  
ექსკლუზიები, გადნახული ეროვნული დრო-  
შების ფრიალი და მივიწყებული იდეების  
“აღორძინება”... საჭირო მომენტში ეს  
ყველაფერი დასრულდება “დიდად ბრ-  
ძნელი” და “სიტუაციით საკარნახევი”  
ნაბიჯით - საქართველო სსსრ შეუერ-  
თებს მოდერნიზებულ საბჭოთა ინტერ-  
ნაციონალს, კმაყოფილი იქნება “დიდი  
ხელმწიფე”, პირნათლი და თავმომწონე  
- მისი ქვეშევრდომი.

ამ გზაზე პირველი ნაბიჯები უკვე  
გადაიდგა - მოსკოვში რამდენიმე დღის  
წინ დსო-ს მთავრობათა მეთაურები მო-  
წონებით შეხვდნენ დსო-ს განვითარების  
ორწლიან პერსპექტიულ გეგმას. ამ ერთ-  
სულოვნებამ, ჩანს, იმედები ჩაუსახა რუსე-  
ეთის პრემიერ-მინისტრს: - მომავალში  
დსო-ს ქვეყნებს შორის ურთიერთობა  
ისეთად წარმომიდგენია, როგორც ახ-  
ლანა ბელორუსასა და რუსეთს შორის -  
განმარტა მან. ვერც ამ განცხადებამ  
გაუფიქრა პროტესტის გრძნობა იქ მყოფ  
მთავრობათა მეთაურებს, რომელთა შო-  
რის საქართველოს “წარგზავნილებიც”  
იმყოფებოდნენ.

ამგვარი ერთსულოვნება კი აუცილ-  
ებლად გამოიღებს სასურველ შედეგს -  
სრულ უფლებებში აღდება ბორბობის  
იმპერია - მას აღარ ერქმევა ძველებური,  
ავადმოსაგონარი სახელი, მაგრამ მას  
ძველებურად “ანგარიში” გაუწევინ და-  
სავლეთის დიდი სახელმწიფოები.

“მოძვე რესპუბლიკებში” დაიწყება “ნა-  
ციონალისტურად განწყობილ ელემენ-  
ტთა” წმენდა, ვიდაც დუსტად გაბი-  
რძობებს, ვიდაც იხვე დაელოდება ხელ-  
მეორედ გამოღვიძებას.

ნუგზარ წიკლაური

